

2019-2020 სასწ. წლის

მაგისტრატურის მისაღები მოთხოვნები - მუსიკისმცოდნეობა

შეფასება ხდება 100 ქულიან სისტემაში; გამსვლელი ქულა - 81 და ზემოთ.

სპეციალობა - საეკლესიო მუსიკოლოგია

სამაგისტრო პროგრამაზე „მუსიკისმცოდნეობა“ ჩაბარების მსურველი აბიტურიენტი აბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდას და შემოქმედებით ტურებს სპეციალობაში.

გამოცდა ჩატარდება ორ ეტაპად:

I ეტაპი (წერა)

აბიტურიენტს მოეთხოვება რამდენიმე მუხლიანი ქართული საგალობლის აუდიოჩანაწერის მოსმენის შედეგად:

1. განისაზღვროს რომელ საგალობელთა სკოლას განეკუთვნება საგალობელი;
2. დაადგინოს საგალობლის ჟანრი და მისი ფუნქცია ღვთისმსახურებაში;
3. გადაიტანოს მოსმენილი საგალობელი სანოტო სისტემაზე;
4. განახორციელოს ნოტირებული საგალობლის თეორიული ანალიზი (რეფერატის სახით).

(სამუშაო დრო 5 ასტრონომიული საათი).

II ეტაპი (ზეპირი)

მცირე ფორმატის გასაუბრება, რომლის დროს აბიტურიენტმა უნდა შეძლოს აკადემიური განვითარებისათვის მზაობისა და მოტივაციის დადგენის მიზნით საკუთარი თავის წარმოჩენა. მან უნდა გამოავლინოს პროფესიული ინტერესები, კერძოდ, მომავალი სამაგისტრო ნაშრომის პრობლემეტიკა და თემატიკა.